

**გიორგი კრავეიშვილი,  
ხათუნა დამიძე  
(საქართველო)**

### **ფერეიდნის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კულტურა**

შაჰაბას პირველმა არაერთხელ ააოხრა ქართლ-კახეთი, მაგრამ ყველაზე მასშტაბური 1616 წლის ლაშქრობა იყო. აღმოსავლეთ საქართველოდან (უმეტესად თიანეთიდან, კახეთიდან და ჰერეთიდან) ტყვეები ირანში წაასხეს. უმეტესობა ფერეიდანში დასახლებულა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ძირითადად ფერეიდნელებმა შეინარჩუნეს ქართული ენა. ფერეიდნელთა ცენტრი ქალაქი მარტყოფია (ოფიციალურად – ფერეიდუნშაჰრი). ქართულენოვანი ფერეიდანი კი მოიცავს ფერეიდუნშაჰრის (მარტყოფი) და ბოინ-მიანდაშთის (თორელი) ქალაქსა და მათ რამდენიმე სოფელს. გარდა ფერეიდნისა, ქართველები დაასახლეს ასევე შირაზის, მაზანდარანის, ხუზესტანისა და სხვა რაიონებშიც, ასევე, ავღანეთშიც, თუმცა ქართული ენა მხოლოდ ფერეიდნის ქართველებმა შეინარჩუნეს. ქართველების ნაწილი ირანიდან მოგვიანებით ავღანეთშიც გადასახლდა, თუმცა მათზე დეტალური ინფორმაციის მოძიება დღემდე რთულია.

მართალია, ფერეიდნელი ქართველები ოფიციალურად ირანულ გვარებს ატარებენ (ბათავანი/ბათუანი, ყალანი, მულიანი, გუგუნანი, ხუციანი, რაჰიმი და ა. შ.), თუმცა მათი შინაური გვარებია ბათუაშვილი, გუგუნაშვილი, ონიკაშვილი, დავითაშვილი, ხუციშვილი, მოლიაშვილი, ყაფლანიშვილი/ყავლაშვილი და სხვ. ერთადერთი გვარი იოსელიანია, რომელიც ირანულადაც ისევე იწერება.

გადასახლების დღიდან ფერეიდნელებს ოცნებად ჰქონდათ სამშობლოში დაბრუნება. არსებობს ცნობილი გადმოცემა, რომ თუკი ცისარტყელის ქვეშ ბავშვები გაძვრებოდნენ, დედასამშობლოში აუცილებლად დაბრუნდებოდნენ. ალბათ ეს იგულისხმა რეჟისორმა ირაკლი კანდელაკმა, როდესაც თქვა, რომ ყოველი წლის აპრილში ფერეიდნელები მართავენ თამაშს „ვინ მივა პირველი დიდ საქართველოში“ (უცნობი ავტორი, 1963:4). ფერეიდნელთა პატრიოტიზმი დღემდე სანიმუშოა. არ არსებობს ფერეიდნელი, რომელიც დღედაღამ საქართველოზე არ ფიქრობდეს და სახლში, მათ შორის, პატარა ბავშვებთან, ქართულად არ საუბრობდეს. ყოლამრება ხუციშვილის კერძო სკოლის წყალობით ბავშვებისა და ახალგაზრდების უდიდესმა ნაწილმა და ასევე უფროსი თაობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქართული წერა-კითხვაც იცის.

სამწუხაროდ, პირველი ფერეიდნელი – ათამ ონიკაშვილი საქართველოში

მხოლოდ 1870-იან წლებში ჩამოვიდა. 1896 წელს კი მათთან ჩავიდა ლადო აღნიაშვილი. 1927 წელს ფერეიდანს ესტუმრნენ ამბაკო და სარა ჭელიძეები, 1960-იან წლებში – სპარსოლოგი ზურაბ შარაშენიძე. 1972 წელს კი ყოველივე ამის შედეგად კახეთში რამდენიმე ოჯახი ჩამოასახლეს.

მართალია, ფერეიდნელების სიმღერა მცირე დოზით თბილისში 2012 და 2018 წლებში ჩავწერე, თუმცა ექსპედიციის ჩატარება რუსთაველის ფონდის დაფინანსებით მხოლოდ 2024 წელს შევძელით. ხელმძღვანელი გახლდით გიორგი კრავეიშვილი, ხოლო წევრები – ქორეოლოგი ხათუნა დამჩიძე, ფოტო-ვიდეო გადაღების საქმე უმეტესად თამაზ კრავეიშვილს ებარა. ექსპედიცია ჩატარდა რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით (FR-21-11362).

ფერეიდნული სიმღერა ერთხმიანია. ამაზე ჯერ კიდევ 1969 წელს ნოდარ კოჭლაშვილი, 2004 წელს კი რუსუდან წურწუმია მიუთითებდნენ. ჩვენმა ექსპედიციამაც მხოლოდ ერთხმიანი სიმღერები ჩაიწერა (აუდიოდანართი, #1-3). უფრო მეტიც, ფერეიდანში პოპულარულია საკუთარი საავტორო სიმღერები (აუდიოდანართი, #4-5), ძველი ხალხური სიმღერები კი მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. უმეტესად გავრცელებულია აკვნის ნანები, ქალთა და მამაკაცთა დატირებები და სახუმარო სიმღერები. სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მიერ გასულ საუკუნეში ფიქსირებული ტექსტების ნაწილი კი ახალგაზრდა ფერეიდნელებისთვის უკვე უცნობია.

რადგან დატირებას შევხვით, ვიტყვით, რომ ძირითადად ქალები ტირიან, როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯგუფურად. მამაკაცი სიტყვით ტირის მაშინ, როცა სიმწარე განუზომლად დიდია და გარდაცვლილთან მოტირალს განსაკუთრებული სიახლოვე აქვს (ვიდეოდანართი, #1).

მართალია, დღევანდელი ეთნოფორები ყანაში (კალოზე), ქსოვისას და ქორწილში სპარსულად მღეროდნენ, თუმცა ახსოვდათ ის თაობა, რომელიც სპარსულ ენას ვერ ფლობდა და მათი აზრით, სავარაუდოდ, ქართულად იმღერებდნენ.

დღევანდელი ფერეიდნელები უმეტესად სპარსულად მღერიან, თუმცა ამ სიმღერების მელოდია ისეთივე ქართულია, როგორიც ფერეიდნულ დიალექტზე მღერის დროს (აუდიოდანართი, #6-7). მათში ისევე გვხვდება ფარული მრავალხმიანობა, როგორც ფერეიდნულ დიალექტზე ნამღერ სიმღერებში. მოკლედ რომ ვთქვა, ფერეიდნელთა ნამღერ ქართულ და სპარსულენოვან სიმღერებს ერთმანეთისგან მხოლოდ სიტყვიერი ტექსტი განასხვავებს.

ფერეიდანში გავრცელებულია ინსტრუმენტული მუსიკა. ინსტრუმენტებზე დამკვრელებად ძირითადად ფერეიდნელი ქურთები და სომხები გვევლინებიან, ქართველები – ნაკლებად და ვინც უკრავს, მათაც ქურთებისა და სომხებისგან აქვთ ნასწავლი. თუ განვიხილავთ 1920-1960-

იანი წლების ცნობებს, ვნახავთ, რომ გავრცელებულია სტირი (სტვირი), ნალარა, საზი, დოლი, თარი, ჭიანური და სანთური (ჭელიძე, 2011:155; შარაშენიძე, 1969:32-35; შარაშენიძე, 1979:177; ცაგარეიშვილი, 1981:25; თოდუა, 1975:51, 82; ჩხუბიანიშვილი:1998 #902; ბერიძე, ბაკურაძე 2012 #4084; ჩიქობავა, 2010:230). ჭიანურად მოხსენიებული საკრავი ქამანჩაა, რომელიც ავტორმა ჭიანურთან გარეგნული მსგავსების გამო გააიგივა. სტირის ფერეიდნელები ზოგჯერ „ისტირს“ (ბერიძე, ბაკურაძე:2012 #4081), დოლს კი „დოჰოლს“ უწოდებენ (ჩხუბიანიშვილი:1998 #902). ქართველები უფრო მეტად სტირ-ნალარაზე და ნეიზე უკრავდნენ, სხვა საკრავებზე დამკვრელებიდან კი მხოლოდ თითო-ოროლა იყო ქართველი, რადგან დამკვრელობა ქართველებში გართობად აღიქმებოდა და სირცხვილად მიაჩნდათ. სტირ-ნალარის ანსამბლშიც მხოლოდ ერთი სტვირი და ნალარა იყო, რაც მრავალხმიანობას საფუძველშივე გამორიცხავდა. ჩვენ ამ ანსამბლის ჩაწერა მხოლოდ ერთხელ შევძელით, ისიც, იმ მოცემულობით, რომ ნალარის ადგილს თონბაქი იკავებდა (ვიდეოდანართი, #2-3).

სტირ-ნალარას უკრავდნენ ქორწილში და დღესასწაულებზე. საცეკვაოდ, მათ შორის, მრავალსართულიანი ფერხულების შესასრულებლადაც, სტირ-ნალარა გამოიყენებოდა. ნეიზე კი უკრავდნენ როგორც მწყემსურ ჰანგებს (ვიდეოდანართი, #4), ისე სევდიან სიმღერებს (ვიდეოდანართი, #5).

კიდევ ერთი საკრავი, რომელიც ფერეიდანში ახლა ვრცელდება, თუმცა ირანის კასპიისპირეთში, მათ შორის, მაზანდარანის რეგიონში ძალიან გავრცელებულია, ეს არის „ჰამბულე“/„ჰანბუნე“ (ვიდეოდანართი, #6). იგი საოცრად ჰგავს ჩვენებურ ჭიბონს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჰანბუნეს ორივე სალამურზე 5/5 თვალია ამოჭრილი, რის გამოც ჰანგი რეალურად ერთხმიანია. ჰამბულეს დიდი მსგავსება ქართულ ჭიბონთან არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავითვალისწინებთ მაზანდარანში ქართველთა დიდი დასახლების არსებობას. მართალია, მათ ენა უკვე აღარ იციან, მაგრამ ამაყობენ თავიანთი ქართველობით და ცდილობენ როგორც ფერეიდნელებთან, ისე საქართველოსთან დაახლოებას.

უკვე მრავალი ათწლეულია, რაც საცხოვრებელი პირობების გამო ფერეიდნელები დროებით თუ სამუდამოდ დიდ ქალაქებში მიდიან, თუმცა ქართულ ენას არც იქ ივიწყებენ. მიგრაციისას სხვადასხვა ქვეყნის (უფრო მეტად, ირანულ) მუსიკასა და ცეკვასთან აქვთ შეხება, თუმცა ამავდროულად აქტიურად სწავლობენ ქართულ სიმღერასა და ცეკვას. სიმღერების სწავლების ეს საპასუხისმგებლო მისია კი ამბაკო და სარა ჭელიძეებმა იკისრეს (ჭელიძე, 1958:95). როგორც ცნობილია, ფერეიდნელებს ქართული სიმღერები პირველად მათ ასწავლეს (იქვე:95). ეს საქმე შემდეგ კანდელაკს გაუგრძელებია. როგორც ცნობილი რეჟისორი აღნიშნავს, ფერეიდნელებს ორი სიმღერა – „სულიკო“ და „იზარდე, მწვანე ჯეჯილო“ – შეასწავლა. სხვა

ნივთებთან ერთად ჩაუტანა ქართული ხალხური სიმღერის 200 ფირფიტა (უცნობი ავტორი, 1963:9-11). ამჟამად ქართულ სიმღერას ფერეიდანში ბევრი ეუფლება. ვფიქრობ, ფერეიდანში ფიქსირებული საახალწლო სიმღერა „ალათასა, ბალათასა“ (აუდიოდანართი, #8) საქართველოდანაა გავრცელებული. ამაზე მინიშნებს მისი სიტყვიერი ტექსტიც და გავრცელების არეალიც. ეს სიმღერა გვხვდება უმთავრესად ქალაქ მარტყოფში, სადაც 1920-1960-იან წლებში საქართველოდან სხვადასხვა დარგის არაერთი მკვლევარი ჩადიოდა და ქართულ ფირფიტებს ავრცელებდა. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ალათასა, ბალათასა“ ერთხელ იმღერეს ჩულრუთშიც და აღმოჩნდა ჰერეთშიც, კერძოდ, ზაქათლის რაიონის სოფელ ელისენში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი ექსპედიცია, მუსიკოლოგიურთან ერთად, ქორეოგრაფიულიც იყო. ცეკვას შუშპრობას ეძახდნენ. ძირითადად დავაფიქსირეთ ჩოფი, რომელიც წრიული ან ნახევარწრიულია და მანდილებითანდასრულადწრიული ფორმითიცეკვება. მასთანხლებასტირნალარა უწევს (ვიდეოდანართი, #7). ასევე გადავიღეთ ჩუბაბი (ქართულად – ჭოხური), რომელსაც ორი კაცი ასრულებს, მათგან ერთი თავდამცველია, მეორე კი – თავდამსხმელი და როცა თავდამსხმელი ჭოხის მორტყმას მაინც მოახერხებს, მაშინ როლები გაიცვლება (ვიდეოდანართი, #8). ორივე ნიმუში, ანალოგიური მოძრაობებითა და მუსიკით, გავრცელებულია ფერეიდნის და ხუზესტანის ქურთებშიც. სამაგიეროდ, ფერეიდანში ამ ცეკვების გვერდით არსებობს ერთი ქალის მიერ შესრულებული ცეკვა „ჰალალაი, ადექ, დაჯექ“ (ვიდეოდანართი, #9), რომელიც განდაგანას უახლოვდება და დოლის, ზოგჯერ კი სტვირ-ნალარის თანხლებით სრულდება. სიმღერის სიტყვიერი ტექსტი პირდაპირ კარნახობს მოცეკვავს, თუ რა დროს რომელი სვლა გააკეთოს. ხანდაზმულებს ახსოვდათ მრავალსართულიანი ფერხულები, ქორწილში ქალად გადაცმული კაცები და კაცად გადაცმული ქალები, თუმცა მათი გადაღება შეუძლებელი შეიქნა.

ფაქტია, რომ ფერეიდნელების მუსიკალური შემოქმედება კახურისგან ძალიან განსხვავდება. სამაგიეროდ, უახლოვდება ჰერულს, ანუ ინგილოურს როგორც ვოკალური ერთხმიანობით, ისე – საბავშვო რეპერტუარის სიჭარბითა და აღმოსავლური ტიპის საკრავების სიმრავლით. სიმღერების გაერთხმიანება და აღმოსავლური ტიპის საკრავების გავრცელება არ მინიშნებს ჰერეთისა და ფერეიდნის ქართველობის საერთო წარსულზე – ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარე გავლენებთან, მაგრამ საბავშვო რეპერტუარის სიმრავლე, მათ შორის, ფრინველთან დაკავშირებული ჰანგების არსებობა, მართლაც ასახავს ფერეიდნელების მჭიდრო კავშირს ჰერელებთან.

თუ ფერეიდანში მხოლოდ ერთი სტვირი და ერთი ნალარა გვხვდება,

რაც მრავალხმიანობას გამოორიცხავს, ჰერეთში ორი ზურნა და ორი ნალარა უკრავდა. ფერეიდანში ასევე გავრცელებულია ჩასაბერი ნეი. რაც შეეხება ჩუნგურს (ანუ საზს), ის ჰერეთში ძალიან იყო გავრცელებული, ფერეიდანში კი – არა. ფერეიდანში ჩუნგური, თარი და ქამანჩა ნაკლებად გამოიყენებოდა და მათი ჩანერა ვერც მოვახერხეთ. ამავდროულად, თუკი ჰერეთში, ჩუნგურისგან განსხვავებით, საფანდურო და საგარმონო მუსიკის სახით გვაქვს ქართული ტიპის მრავალხმიანობაც, ფერეიდანში ესეც გამქრალია. რაც შეეხება ცეკვას, ჰერული ცეკვა უფრო დაღესტნურს უახლოვდება, თუმცა შეხების საერთო წერტილები, რა თქმა უნდა, ფერეიდნულ ცეკვასთანაც გააჩნია როგორც მოძრაობის, ისე ტანისამოსის თვალსაზრისით.

### აუდიო მაგალითები

„ჩარშამბაე სური“ (ახალი წლის წინა დღეებში სათქმელი). ასრულებენ აბოლყასემ ახმადი და მოჰთარამა ებრაჰიმი. ჩანერილია გიორგი კრავიშვილის მიერ 2024 წელს, ბოინ-მიანდაშთში, ბოინის უბანში.

„ღმერთო, მოგვე ბალახი“ (ამინდის მართვის). ასრულებენ აბოლყასემ ახმადი და მოჰთარამა რაფი. ჩანერილია გიორგი კრავიშვილის მიერ 2024 წელს, ბოინ-მიანდაშთში, მიანდაშთის (თორელი) უბანში.

„გადიან, გამოდიან ჩიტები“. ასრულებენ ჰოსეინ ხუციანი (ხუციანშვილი), საფარ მოყადასი (ზუჰიტაშვილი) და ასკარ მოყადასი (ზუჰიტაშვილი). ჩანერილია გიორგი კრავიშვილის მიერ 2024 წელს ფერეიდუნშაჰრის რაიონის სოფელ ნეგზაჰაბადში (მარტყოფის რაიონის სოფელი ჭაყყაყი).

„ქართველი ვარ, ქართველი“. ასრულებს ავტორი – ყოლამრება ხუციანშვილი. ჩანერილია მარინა ბერიძის მიერ 2008-12 წლებში ქალაქ ნაჯაჰაბადში.

„ჩემო სოფელო“. ქართველი“. ასრულებს ავტორი – ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი). ჩანერილია მარინა ბერიძის მიერ 2008-12 წლებში ქალაქ ნაჯაჰაბადში.

სპარსულენოვანი სიმღერა, ქართულად დაბოლოებული. ასრულებს ჯანმაჰმად რაჰიმ რამიშვილი. ჩანერილია გიორგი კრავიშვილის მიერ 2024 წელს ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი).

სპარსულენოვანი სიმღერა. ასრულებს მასუმე ფაშაი. ჩანერილია გიორგი კრავიშვილის მიერ 2024 წელს ფერეიდუნშაჰრის (მარტყოფის) რაიონის სოფელ სიბაქში.

„ალათასა, ბალათასა“ (საახალწლო). ასრულებენ ფარვიზა და მასუმე ასლანი (ასლანიშვილები). ჩანერილია ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი).

### ვიდეო მაგალითები

მამაკაცის დატირება. ასრულებს ტაჯიმაჰმადა ხუციანი (ხუციაშვილი). ჩაწერილია ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი) გიორგი კრავეიშვილის მიერ 2024 წელს. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

პატარძლის გამოსაყვანი მელოდია სტვირ-ნალარაზე. ასრულებენ მოჰამმად თავაზოჰი (თავაძე) – სტვირი და ამინ ხოციანი (ხუციაშვილი) – თონბაქი. ჩაწერილია ისპაჰანში გიორგი კრავეიშვილის მიერ 2024 წელს. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

„ჰალალაი, ადე, დაჯე“ (საქორწინო). ასრულებენ მოჰამმად თავაზოჰი (თავაძე) – სტვირი და სიმღერა, და ამინ ხოციანი (ხუციაშვილი) – თონბაქი. ჩაწერილია ისპაჰანში გიორგი კრავეიშვილის მიერ 2024 წელს. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

ძროხების მოსაყვანი მწყემსური ჰანგი ნეიზე. ასრულებს ბაჰმან გუგუნანი (გუგუნაშვილი). ჩაწერილია ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი) გიორგი კრავეიშვილის მიერ 2024 წელს. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

„შეჭამანდი შავქენ“. ნეის თანხლებით. ასრულებენ ბაჰმან (ნეი) და ომიდ გუგუნანი (გუგუნაშვილები). ჩაწერილია ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი) გიორგი კრავეიშვილის მიერ 2024 წელს. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

ჰანბუნეზე დასაკრავი. ასრულებს მოჰამმად თავაზოჰი (თავაძე). ჩაწერილია ისპაჰანში გიორგი კრავეიშვილის მიერ 2024 წელს. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

ჩოფი და ჯოხური ჩოფში. ფარზად რაჰიმ დავითაშვილის ქორწილი. გადაღებულია ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი) 2002 წელს.

„ჯოხური“. მონაცვლეობით ასრულებენ ნოთფოლა მანზარი (მანზარაშვილი), ყოლამრება ხოსრაჰი (ხოსროშვილი), კიდევ ერთი თანასოფელელი და არია ხოსრაჰი (ხოსროშვილი). ჩაწერილია ხათუნა დამჩიძის მიერ ბოინ მიანდაშთის რაიონის სოფელ დაშკესანში 2024 წელს. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

„ჰალალაი, ადე, დაჯე“ (საქორწინო). ასრულებს შაჰნაზ აზიმან ხუციაშვილი. ჩაწერილია გიორგი კრავეიშვილის და ხათუნა დამჩიძის მიერ 2024 წელს ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი). ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბერიძე, მ., ბაკურაძე, ლ. (2012). ჩხუბიანიშვილი, დ. (1998). ფერეიდნული ტექსტები <http://corpora.co/#/texts>
- ბუთლიაშვილი, ვ. (1923). ქორწინება ფერეიდანში. ციტირებულია წიგნიდან ბაკურაძე ლ., ბერიძე მ. და სხვ. (2020). ფერეიდნული ქრონიკები. თბილისი: მერიდიანი.
- თოდუა, მ. (1975). ქართულ-სპარსული ეტიუდები. ტომი II. თბილისი: მეცნიერება.
- კრავიშვილი, გ. (2020). საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები. თბილისი: აკადემიური წიგნი.
- კოჭლაშვილი, ნ. (1969). ფერეიდნული ქართველი ქალები. ჟურნალი საქართველოს ქალი. #2, 20-22.
- პაპიაშვილი, ვ. (2012). ჰერეთის ისტორია: მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი.
- შარაშენიძე, ზ. (1969). ახალი მასალები ფერეიდნული ქართველების შესახებ. თბილისი: მეცნიერება.
- შარაშენიძე, ზ. (1979). ფერეიდნული გურჯები. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია.
- ჩიქობავა, ა. (2010). ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი. კრებულში: არნოლდ ჩიქობავა. შრომები. ტომი I. 180-239. (რედ. ა. არაბული). თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ჩხუბიანიშვილი, დ. (1998). ფერეიდნული ტექსტები. <http://corpora.co/#/texts>
- ცაგარეიშვილი, თ. (1981). ფერეიდნულები საქართველოში. თბილისი: მეცნიერება.
- წურნუმია, რ. (რედ.). (2004). ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი (ბუკლეთი). თბილისი: ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ტმკსც.
- ჭელიძე, ა. (2011). ფერეიდნული ქართველები. თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.